აშშ კონსტიტუცია: კომპრომისის ხელოვნება ანუ მართულთა მმართველობა*

გაკვეთილი 11

რატომ სურდათ „დამფუძნებლებს“ „კონფედერაციის მუხლების“ შეცვლა (1781)

მეთერთმეტე გაკვეთილის მიზანი

1776 წელს მეორე კონტინენტურმა კონგრესმა ხმა მისცა ბრიტანეთის მმართველობისაგან კოლონიების დამოუკიდებლობის გამოცხადებას. 13 კოლონია ახლა უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოები გახდნენ. მაგრამ ბრიტანეთის ძლევამოსილი არმიისა და ფლოტის წინააღმდეგ საომრად აუცილებელი იყო შტატებს შორის თანამშრომლობა, მაშასადამე, კონგრესის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა იყო ეროვნული ხელისუფლების შექმნა.

ეროვნული ხელისუფლება აუცილებელი იყო აგრეთვე ყველანაირი მმართველობის საქმიანობის განსახორციელებლად, რაზეც წინა გაკვეთილებში იყო საუბარი შტატებს შორის, ასევე შტატებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებს შორის ვაჭრობის გასაკონტროლებლად, საზღვაო საკითხებზე წარმოშობილი კონფლიქტების მოსაგვარებლად და სხვ.

„დამფუძნებლების“ მიერ შექმნილმა პირველმა ხელისუფლებამ სათანადოდ ვერ იმოქმედა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი კარგად იცნობდნენ პოლიტიკურ ფილოსოფიას, ისტორიასა და მმართველობის საკითხებს. ამ ხელისუფლების ნაკლოვანებათა ცოდნა აუცილებელია იმის გასაგებად, რომ ვერც ხელისუფლება ვერ იმუშავებს კარგად, თუ ის სათანადოდ არ იქნება ორგანიზებული. ამისი ცოდნა იმის გააზრებაშიც დაგვეხმარება, თუ რატომ არის მოწყობილი ჩვენი ხელისულფება ასე და არა სხვაგვარად.

როდესაც ამ გაკვეთილის გაცნობას და მასზე მსჯელობას დაასრულებთ, თქვენ შეძლებთ გააცნობიეროთ, თუ რატომ შექმნეს დამოუკიდებლობას ახლად ნაზი-

* დასაწყისი იხილეთ ჟურნალის I, II, III და IV ნომერში.

არებმა ამერიკელებმა მათი პირველი კონსტიტუცია, „კონფედერაციის მუხლები“ სწორედ იმჟამინდელი სახით, თქვენ შეძლებთ აგრეთვე ახსნათ, რატომ წააწყდა ჩვენი ხელისუფლება სირთულეებს „კონფედერაციის მუხლების“ გამო. ამავე დროს, ეს გაკვეთილი გაგაცნობთ ქვემოთ დასახელებულ ახალ იდეებსა და ტერმინებს, რომლებსაც თქვენ ასევე განმარტავთ.

ეროვნული ხელისუფლება

„კონფედერაციის მუხლები“

უმრავლესობის პრინციპი

ლოიალისტები

ფრაქციები

შეის აჯანყება

„ᲙᲝᲜᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲣᲮᲚᲔᲑᲘᲡ“ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ

1776 წელს კონგრესის მიერ ჯონ დიკინსონის (პენსილვანია) ხელმძღვანელობით შექმნილმა კომიტეტმა მოამზადა პირველი ეროვნული ხელისუფლების კონსტიტუციის პროექტი. მას „კონფედერაციის მუხლები ეწოდა. მაგრამ ამერიკელებმა სწრაფად გააცნობიერეს, რომ ეროვნული ხელისუფლების ნაირსახეობაზე შეთანხმება იოლი საქმე არ იქნებოდა. კონგრესის წევრებმა წელიწადზე მეტი კამათში გაატარეს, ვიდრე არ შეთანხმდნენ შტატების წინაშე დასამტკიცებლად წარსადგენი კონსტიტუციის პროექტზე. შემდეგ შტატებს ოთხი წელი დასჭირდათ კონსტიტუციის განხილვისა და ერთხმად მოწონებისათვის. „კონფედერაციის მუხლების“ თაობაზე შეთანხმებისას „დამფუძნებლები“ ორ ძირითად წინააღმდეგობას წააწყდნენ:

- მეტისმეტად ძლიერი ეროვნული ხელისუფლების შექმნა;
- ეროვნულ ხელისუფლებაში შტატებისათვის არათანაბარი უფლებამოსილებების მინიჭება.

ქვემოთ აღწერილია, რა გზით გადაწყვიტეს „დამფუძნებლებმა“ ამ საშიშროებათა უვნებელყოფა. განიხილეთ ეს გადაწყვეტილებები და მოემზადეთ მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების გასაშუქებლად.

1. ᲨᲘᲨᲘ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

დიდ ბრიტანეთთან ომის დაწყებისას თითოეული შტატი ცალკე სახელმწიფოს წააგავდა საკუთარი კონსტიტუციითა და მმართველობით. ხალხისათვის თავისი შტატი იყო საკუთარი „ქვეყანა“ და ყველა ამომრჩეველს შეიძლებოდა ხმა ჰქონდა მის მმართველობაში. შტატის ლეგისლატურებში თავიანთი წარმომადგენლობე-

ბისათვის მათ შეეძლოთ წევრების არჩევა ადგილობრივი თემებიდან. მმართველობა იმდენად დაახლოებული იყო მოქალაქეებთან, რომ ისინი თავისუფლად მონაწილეობდნენ მის საქმიანობაში.

„დამფუძნებლები“ შეთანხმდნენ, რომ მათ ეროვნული ხელისუფლება ესაჭიროებოდათ. ამავე დროს, ეშინოდათ, რომ ის ძალზე ძლიერი იქნებოდა. „დამფუძნებლების“ აზრით, უფლებამოსილებათა უმეტესი წილი შტატების ხელისუფლებას უნდა დარჩენოდა, ვინაიდან შტატების მმართველობათა გაკონტროლება უფრო ადგილი იყო მოქალაქეებისათვის, ვიდრე ეროვნული ხელისუფლებისა.

ამასობაში შტატები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან დიდი ბრიტანეთის კონტროლისაგან გასათავისუფლებლად. „დამფუძნებელთა“ აზრით, ბრიტანეთის ხელისუფლებამ ჩამოართვა მოქალაქეებს მათი უფლებები, მათ შორის მმართველობაში მონაწილეობის უფლებაც. ბევრი მათგანი შიშობდა, რომ ძლიერი ეროვნული ხელისუფლების შექმნის შემთხვევაში ის ისევე იბატონებდა შტატების

ხელისუფლებაზე და ისევე დაემუქრებოდა მოქალაქეთა უფლებებს, როგორც ეს ბრიტანეთის ხელისუფლების გამოცდილებამ გვიჩვენა.

საკითხის გადაწყვეტა: სუსტი ეროვნული ხელისუფლების შექმნა

როგორც იქნა „დამფუძნებლებმა“ გადაჭრეს ეს პრობლემა; მათ შექმნეს სუსტი ეროვნული ხელისუფლება. „კონფედერაციის მუხლებით“ შექმნილი ასეთი ხელისუფლება წარმოადგენდა ეროვნულ ლეგისლატურას – კონტინენტურ კონგრესს. აქ არ არსებობდა აღმასრულებელი ან სასამართლო ხელისუფლება. მართალია, კონგრესი ნებას იძლეოდა მკაცრად განსაზღვრული მიზნებისათვის სასამართლოთა შექმნისა, მაგრამ სამართლებრივ დავათა უმრავლესობა კვლავ შტატების სასამართლოებში განიხილებოდა.

„კონფედერაციის მუხლებმა“ ძირითადი უფლებები შტატებს შეუნარჩუნა; ეროვნულ ხელისუფლებას უმნიშვნელო უფლებები ჰქონდა შტატებისა და მათი მოქალაქეების მიმართ, მაგალითად:

- კონტინენტურ კონგრესს უფლება არ ჰქონდა რომელიმე შტატში რომელიმე პიროვნება გაეკონტროლებინა. მხოლოდ შტატების ხელისუფლება ვრცელდებოდა მათ მოქალაქეებზე.
- კონტინენტურ კონგრესს არ შეეძლო გადასახადების აკრეფა შტატებისაგან ან უშუალოდ მათი მოსახლეობისაგან. მას შეეძლო მხოლოდ მოეთხოვა ფული შტატების მთავრობებისაგან, ხოლო ისინი, თავის მხრივ, საკუთარ მოქალაქეებს მიმართავდნენ.
- კონტინენტური კონგრესი ვერ მიიღებდა ვერანაირ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, თუ მას არ მოიწონებდა 9 შტატი მაინც 13-დან. ასეთი შეზღუდვა

კონგრესის მიმართ გამოიყენებოდა, მაგალითად, მის ისეთ უფლებამოსილებებზე, როგორიცაა, ომის გამოცხადება და წარმოება, სხვა ქვეყნებთან ხელშეკრულებების დადება ან მათთან ალიანსში შესვლა, ფულის მოჭრა ან სესხად აღება და სხვ.

2. შიში იმისა, რომ ეროვნულ ხელისუფლებაში ზოგიერთი შტატი შეიძლებოდა დაჩაგრულიყო სხვებთან შედარებით

შტატების ლიდერებს სურდათ ერწმუნათ, რომ ახალი ეროვნული ხელისუფლება იმგვარად იქნებოდა მოწყობილი, რომ არ დაემუქრებოდა შტატების ინტერესებს. ამის შედეგად შტატებს შორის წარმოიშვა უთანხმოება იმის თაობაზე, თუ როგორ მოხდებოდა კენჭისყრა კონგრესში. ექნებოდა თუ არა ყოველ შტატს თანაბარი ხმის უფლება, თუ მეტი ან ნაკლები ხმა მიეცემოდათ მოსახლეობისა და მესაკუთრეთა ოდენობის მიხედვით. კონგრესს გადაწყვეტილებანი უნდა მიეღო უმრავლესობით. ზოგიერთი ლიდერი შიშობდა, რომ უმრავლესობა უმცირესობის ხარჯზე შეეცდებოდა თავისი უფლებების გამოყენებას საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ.

საკითხის გადაწყვეტა: ყოველი შტატისათვის თითო ხმის მიცემა

მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ყოველ შტატს კონგრესში თითო ხმა ექნებოდა, მოსახლეობის ოდენობის მიუხედავად.

1781 წელს, ოთხწლიანი დებატების შემდეგ, ყველა შტატი შეთანხმდა, რომ „კონფედერაციის მუხლები“ მიეღოთ როგორც შეერთებული შტატების ეროვნული ხელისუფლების კონსტიტუცია. პირველად მას შემდეგ, რაც ეს ტერმინი დამოუკიდებლობის დეკლარაციაში გამოიყენეს, ყოფილი კოლონიების ოფიციალური სახელწოდება გახდა „ამერიკის შეერთებული შტატები“.

„კონფედერაციის მუხლების“ სისუსტით გამოწვეული სირთულეები

თქვენ დაინახეთ, თუ როგორ გადაწყვიტა შტატების ხალხმა ძლიერი ხელისუფლების საშიშროების პრობლემა: მათ შექმნეს ძალზე შეზღუდული უფლებებით აღჭურვილი ხელისუფლება. ვინაიდან შტატებს ეშინოდათ, რომ კონტინენტური კონგრესი მათ გააკონტროლებდა, ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ სწორედ შტატებს გაეკონტროლებინა კონგრესი. ამ ორგანოს ყოველი ქმედება უნდა წარმართულიყო შტატების უმრავლესობის თანხმობის, მოწონებისა და თანამშრომლობის საფუძველზე. ყოველივე ამის შედეგად, სახელმწიფომ თავისი არსებობა დაიწყო სუსტი ეროვნული ხელისუფლებით.

„კონფედერაციის მუხლებით“ გამოწვეულმა სირთულეებმა განაპირობა დღევანდელი კონსტიტუციის მიღების გადაწყვეტილება. ეს სირთულეები ქვემოთაა აღწერილი.

1. არც ფული და არც მისი შოვნის უფლება

ეროვნული ხელისუფლების ხარჯების დასაფარავად კონგრესი შტატების ნებაყოფლობით შენატანებს იყენებდა. მას არავითარი უფლებამოსილება არ გააჩნდა შტატების მიმართ, რათა გადაეხდევინებინა მათთვის შენატანები თავდაპირველი დაპირების შესაბამისად.

ეს სისტემა ვერ ფუნქციონირებდა. რევოლუციური ომის ხარჯების დასაფარავად შტატები 10 მილიონი დოლარის გაღებას დაჰპირდნენ ეროვნულ ხელისუფლებას; სინამდვილეში კი გადაიხადეს მხოლოდ 1,5 მილიონი დოლარი. ამიტომ კონგრესს მოუწია სესხის აღება, რათა ამერიკელებისა და უცხოელებისათვის მიეყიდა საშემოსავლო ობლიგაციები. სხვა საშუალება ვალის გასასტუმრებლად მას არ ჰქონდა. თვით შტატების მთავრობები და ხალხის უმრავლესობა ღრმად იყვენენ ჩაფლულნი ომისშემდგომ ვალებში.

2. არავითარი უფლებები შტატების მთავრობათა და მოქალაქეთა მიმართ

კონგრესს არ ჰქონდა იმის უფლებამოსილება, რომ გამოეცა კანონები, რომლებიც მოაწესრიგებდნენ მოქალაქეთა ქცევას ან შტატებთან ურთიერთობას, ან აიძულებდნენ შტატების მთავრობებსა თუ მათ მოქალაქეებს რაიმე ქმედებას. მოქალაქეებს მხოლოდ შტატის მთავრობა მართავდა. ყოველივე ეს იმას ნიშნავდა, რომ თუ შტატები და მათი მოქალაქეები დაუმორჩილებლობას გამოიჩენდნენ ეროვნული ხელისუფლების მიერ მიღებული რეზოლუციის, რეკომენდაციის ან მოთხოვნების მიმართ, შეუძლებელი იყო მათზე რაიმე ზემოქმედება. „კონფედერაციის მუხლები“ მკაფიოდ აცხადებდნენ, რომ ყოველი შტატი იცავდა თავის „სუვერენიტეტს, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას“.

ეროვნული ხელისუფლების უუნარობამ აეძულებინა შტატები და მათი მოქალაქეები ეცხოვრათ დადებული შეთანხმებების შესაბამისად სერიოზულ ვითარებას მოასწავებდა. ყველა კოლონისტი როდი უჭერდა მხარს რევოლუციურ ომს; ათასობით მათგანი ერთგულებას იჩენდა დიდი ბრიტანეთის მიმართ და განაგრძობდა ცხოვრებას შეერთებულ შტატებში. მათ ლოიალისტებს უწოდებდნენ. ომის დამთავრების შემდეგ ეროვნულმა ხელისუფლებამ „პარიზის შეთანხმების“ სახელით ცნობილი შეთანხმება დადო დიდ ბრიტანეთთან. იგი ნაწილობრივ ითვალისწინებდა ლოიალისტების უფლებათა დაცვას და მათდამი სამართლი-

ან მოპყრობას. მრავალი ლოიალისტი შეძლებული მესაკუთრე იყო შტატებში და ფულიც კი ჰქონდა გასესხებული სხვა მოქალაქეებზე.

ზოგიერთმა შტატმა უარი თქვა, პატივი ეცათ ამ შეთანხმებისათვის. ისინი სირთულეებს უქმნიდნენ ლოიალისტებს გასესხებული თანხების დაბრუნებაში. ომის მსვლელობისას ზოგიერთმა შტატმა მათი ქონების კონფისკაციაც კი მოახდინა. ეროვნული ხელისუფლება არ ფლობდა სათანადო უფლებამოსილებას, რათა უზრუნველეყო შტატების მთავრობების მხრივ ლოიალისტების საკუთრების უფლების დაცვა და მათთვის ვალების დაბრუნება. ამრიგად, ეროვნული ხელისუფლება უძლური აღმოჩნდა შეესრულებინა დიდი ბრიტანეთისათვის მიცემული დაპირება, რომლითაც ის ვალდებული იყო დაეცვა ლოიალისტების უფლებები.

3. განუხორციელებელი სავაჭრო ხელშეკრულებები

იმისდა მიუხედავად, რომ კონგრესი აღჭურვილი იყო უცხოეთის ქვეყნებთან შეთანხმებათა დადების უფლებით, მას არ ჰქონდა სამკარისი ძალა, რათა უზრუნველეყო შტატების მხრიდან ამ შეთანხმებათა დაცვა. ამან კი მორიგი სირთულე წარმოშვა. ზოგიერთი მოქალაქე საზღვარგარეთიდან საქონლის იმპორტს ეწეოდა, მაგრამ შემდგომში უარს ამბობდა გადასახადზე. ბუნებრივია, რომ უცხოელებმა აღარ ინდომეს შეერთებული შტატების ხალხთან ვაჭრობა. თანაც, როდესაც დიდმა ბრიტანეთმა დაინახა, თუ რაოდენ სუსტი იყო კონგრესის კონტროლი საგარეო ვაჭრობაზე, მან შეწყვიტა დასავლეთ ინდოეთის ვაჭრობა ამერიკასთან. მრავალმა ამერიკელმა ზარალი იწვნია იმის გამო, რომ არ ჰქონდა საშუალება საქონელი უცხოეთში გაეყიდა; სხვებს კი შესაძლებლობა არ ჰქონდათ საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი საქონლის შესაძენად.

4. უთანასწორო კონკურენცია შტატებს შორის

კონგრესს არ ჰქონდა უფლებამოსილება გამოეცა კანონები ბიზნესისა და შტატებს შორის ვაჭრობის მოსაწესრიგებლად. ამის შედეგად, ერთი შტატის მოსახლეობა, ჩვეულებრივ, შტატის მთავრობის დახმარებით ცდილობდა მოგება მიეღო სხვა შტატის მოსახლეობის ხარჯზე. მაგალითად, ზოგიერთი შტატის ხელისუფლება ადგილობრივი ბიზნესის სასარგებლოდ გამოსცემდა კანონებს, რომლითაც კრძალავდა სხვა შტატებიდან ჩამოტანილი საქონლით ვაჭრობას.

ასეთი საქმიანობა შეუძლებელს ხდიდა შტატებს შორის ეფექტიან და ნაყოფიერ ვაჭრობას და სერიოზულ ეკონომიკურ საფრთხეს უქმნიდა ქვეყანას. ბიზნესი ჩავარდა და მრავალი ადამიანი სიღარიბის მსხვერპლი გახდა, ვინაიდან არ შეეძლოთ ნასესხები ფულის უკან დაბრუნება. ამან კი სხვა სერიოზული სირთულე შექმნა.

5. მოქალაქეთა საკუთრების უფლებას საფრთხე დაემუქრა

მრავალი ადამიანის აზრით, შეერთებული შტატების ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემა 1780-იან წლებში ის იყო, რომ შტატების ხელისუფლება ვერ იცავდა მოქალაქეთა საკუთრების უფლებას. როგორც თქვენ უკვე შეიტყვეთ, უმეტეს შტატებში მმართველობას ძირითადად საკანონმდებლო ხელისუფლება განაგებდა, რომელიც, თავის მხრივ, ხალხის უმრავლესობის მიერ არჩეული წარმომადგენლებისაგან შედგებოდა.

ფრაქცია წარმოადგენს ადამიანთა ჯგუფს, რომელიც საკუთარი ინტერესების ხელშეწყობას ცდილობს. ამ პერიოდში ფრაქციების ისეთი ოდენობა წარმოიშვა, რომ უმრავლესობაც კი შექმნეს შტატების ლეგისლატურებში. ამ უმრავლესობებს ბრალი ედებოდათ თავიანთი სასარგებლო კანონების შექმნაში უმცირესობისა და საერთო კეთილდღეობის საზიანოდ. მაგალითად, მათ მიიღეს კანონები, რომლებიც აუქმებდნენ ვალებს, აწესებდნენ ქაღალდის ფულის გამოშვებას, რაც საბოლოოდ მევალეთათვის სასარგებლო ინფლაციის პროცესს წარმოშობდა.

ხალხი, რომელიც ასეთი კანონებით დაზარალდა, დაობდა, რომ მათ უფლებებს არ იცავდა შტატების ხელისუფლება. ისინი აცხადებდნენ, რომ ადამიანების ერთი ჯგუფი შტატების ხელისუფლებას იყენებს მეორე ჯგუფის უფლებების საწინააღმდეგოდ და არა საერთო კეთილდღეობისათვის.

ზოგიერთი იმასაც ამტკიცებდა, რომ შტატის მმართველობაში მეტისმეტი დემოკრატია იყო. ისინი აცხადებდნენ, რომ უმრავლესობის პრინციპით მოქმედი წარმომადგენლობითი მმართველობა არ იცავდა ადეკვატურად მოქალაქის ბუნებით უფლებებს და საერთო კეთილდღეობას. მათი აზრით, უმრავლესობის პრინციპი, როდესაც უმრავლესობა სხვების ხარჯზე ესწრაფვის საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებას, არის ტირანიის ისეთივე საშიში გამოვლენა, როგორიცაა მეფის გაუკონტროლებადი ხელისუფლება.

შეის აჯანყება და ცვლილებების ნიშნები

ყველაზე დრამატული მოვლენა, რამაც საბოლოოდ დაარწმუნა ხალხი ძლიერი ეროვნული ხელისუფლების აუცილებლობაში, იყო შეის აჯანყება. მასაჩუსეტსის შტატის ფერმებს სერიოზული ეკონომიკური პრობლემები ჰქონდათ. მათ თავიანთი სახლები და ფერმები დაკარგეს სწორედ იმიტომ, რომ არ შეეძლოთ ვალების გასტუმრება. ზოგიერთმა ციხეშიც კი ამოჰყო თავი. სახალხო უკმაყოფილება მატულობდა და განაწყენებული ბრბო ხელს უშლიდა სასამართლოებს იმათ დასჯასა და ქონების გაყიდვაში, ვისაც არ შეეძლო ვალების გასტუმრება.

1786 წლის ნოემბერში რამდენიმე ასეულმა განაწყენებულმა ფერმერმა თავი მო-

იყარა დანიელ შეის მეთაურობით. შტატის ხელისუფალთა წინააღმდეგ აჯანყებისათვის მათ იარაღი ესაჭიროებოდათ. ამ მიზნით ფერმერებმა სცადეს სფრინგფილდის არსენალის ხელში ჩაგდება, სადაც შტატის მილიციისათვის იარაღი ინახებოდა. მართალია, შეის აჯანყება დამარცხდა, მაგრამ მან თავზარი დასცა სხვა შტატების მესაკუთრეებს მსგავსი შემთხვევის შესაძლო განმეორების გამო.

შეის აჯანყებამ, გადასახადების აკრეფისა და საგარეო ვაჭრობის სირთულეებთან ერთად, ხალხის დიდი ნაწილი ღრმად დაარწმუნა ეროვნული ხელისუფლების გაძლიერების აუცილებლობაში. ჯორჯ ვაშინგტონი ერთ-ერთი ამათთაგანი იყო. მან მისწერა ჯეიმს მედისონს: „ჩვენ ან ვართ ერთი ხალხი, ან არა ვართ. თუ ვართ, მაშინ ვიმოქმედოთ ისე, როგორც სახელმწიფოს შეშვენის, ხოლო თუ არა ვართ, მაშინ მოვეშვათ ფარსის თამაშს, რომ თითქოს სახელმწიფო ვართ“.

ძლიერი ეროვნული ხელისუფლების შესაქმნელად გადადგმული ნაბიჯები და მისი მოწყობის წესი განხილულია მომდევნო ნაწილში.

ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲘᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ

1. „კონფედერაციის მუხლები“ მეტყველებენ მათი ავტორების შიშზე ძლიერი ეროვნული ხელისუფლების გამო და ყველაზე მნიშვნელოვან უფლებამოსილებებს შტატებს უტოვებენ. რომელ უფლებამოსილებებზე უთხრა უარი ამ დოკუმენტმა ეროვნულ ხელისუფლებას.

2. თქვენი აზრით, რატომ იყვნენ კმაყოფილნი შედარებით პატარა შტატები „კონფედერაციის მუხლებით“ შემოღებული მმართველობით?

3. რა ზეგავლენა შეიძლებოდა მოეხდინა „დამფუძნებლებზე“, – რომლებსაც სწამდათ „სამოქალაქო ღირსების“ როლი და მნიშვნელობა რესპუბლიკაში, – მათსავე გამოცდილებას შტატების მმართველობის საქმეში?

4. შეარჩიეთ რევოლუციის შემდგომი პერიოდის ზოგიერთი ეროვნული პრობლემა და დაასაბუთეთ, თუ როგორ ამწვავებდა მათ „კონფედერაციის მუხლებში“ ეროვნული ძალაუფლების უკმარისობა.

5. „კონფედერაციის მუხლები“ მოწმობდნენ უნდობლობას ძლიერი ეროვნული ხელისუფლების მიმართ. დღესაც მრავალი ადამიანი იზიარებს ასეთ დამოკიდებულებას. რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ იგი? რატომ?

6. რა არის „ფრაქცია“? განმარტეთ, რატომ წარმოადგენდა ფრაქცია პრობლემას 1780-იან წლების ამერიკის ხელისუფლებისათვის. დღეს არსებული ორგანიზებული ჯგუფებიდან, რომელს მიიჩნევდნენ „დამფუძნებლები“ ფრაქციად?

ნაწილი მესამე: კონსტიტუცია

მესამე ნაწილის მიზანი

თქვენ უკვე შეისწავლეთ ის ფილოსოფიური და ისტორიული წინამძღვრები, რომლებმაც ზეგავლენა მოახდინეს ჩვენი კონსტიტუციის „შემქმნელებზე". ეს ნაწილი თქვენ გაგარკვევთ იმაში, თუ როგორ იწერებოდა კონსტიტუცია და რა მნიშვნელოვანი დებატები უძღოდა მის დახვეწას და რატიფიკაციას.

როდესაც ამ ნაწილს დაასრულებთ, თქვენ შეგეძლებათ ახსნათ, როგორ იქმნებოდა კონსტიტუცია, როგორ ხელისუფლებას ამკვიდრებს იგი, რა ძირითადი დებატი გაიშალა მისი შექმნის პროცესში და როგორი იყო ფედერალისტთა და ანტიფედერალისტთა პოზიციები კონსტიტუციის რატიფიკაციისათვის ბრძოლისას.

გაკვეთილი 12
ვინ ესწრებოდა ფილადელფიის კონვენტს და რაზე შეთანხმდნენ ისინი?
მეთორმეტე გაკვეთილის მიზანი

კონსტიტუცია დაიწერა 1787 წელს ფილადელფიაში გამართულ კონვენტზე. ეს გაკვეთილი მოგვითხრობს, როგორ იქნა მოწვეული კონვენტი, ვინ იყვნენ მნიშვნელოვანი პიროვნებები მის მონაწილეთა შორის და რა ნაბიჯები გადადგეს მათ თავდაპირველად კონსტიტუციის შესაქმნელად.

გაკვეთილის დასასრულს თქვენ შესაძლებლობა გექნებათ ახსნათ ფილადელფიის კონვენტის მოსაწვევად მიმართული ძალისხმევა და დაახასიათოთ იქ დამსწრე კონსტიტუციის „შემქმნელები". ქვემოთ ჩამოთვლილია ზოგიერთი ძირითადი ცნება, რომელთა განმარტებასაც თქვენ შეძლებთ.

ფილადელფიის კონვენტი

დელეგატი

რატიფიკაცია

„ფედერალისტი"

მცდელობანი „კონფედერაციის მუხლებით" წარმოშობილი სირთულეების დაძლევისა

„კონფედერაციის მუხლებით" გამოწვეული სირთულეების გამო მრავალმა თვალსაჩინო ლიდერმა წამოაყენა ყველა შტატის წარმომადგენლების შეხვედრის წინადადება. ამ შეხვედრის მიზანი უნდა ყოფილიყო საშუალებათა მოძიება წამოჭრი-

ლი სირთულეების დასაძლევად. ვირჯინიის შტატის წარმომადგენელმა ჯეიმს მედისონმა შეაგონა თავისი შტატის ლეგისლატურას ასეთი შეხვედრის მოწვევა.

1786 წელს ცამეტივე შტატი მიიწვიეს, რათა თავიანთი წარმომადგენლები გაეგზავნათ ანაპოლისში (მერილენდის შტატი). მიწვევას მხოლოდ ხუთი შტატი დათანხმდა. ამ შეხვედრის ჩავარდნით გულგატეხილმა მედისონმა და სხვებმა გადაწყვიტეს არ ემსჯელათ „კონფედერაციის მუხლების“ შესახებ. სამაგიეროდ, მათ წარდგინება გაუგზავნეს კონგრესს და ყოველი შტატის ლეგისლატურას. ისინი შტატებს თხოვდნენ წარმომადგენლები გაეგზავნათ ფილადელფიაში 1787 წლის შეხვედრაზე. ფილადელფიის შეკრების დანიშნულებას წარმოადგენდა „კონფედერაციის მუხლების“ შეცვლა ეროვნული ხელისუფლების გაძლიერების მიზნით.

შეხვედრას კონგრესი იწონებს „კონფედერაციის მუხლების“ გასაუმჯობესებლად

თავდაპირველად კონგრესმა უგულვებელყო წარდგინება, შემდეგ კი, 1787 წლის თებერვალში, კონგრესმა მხარი დაუჭირა შტატების წარმომადგენლების შეხვედრას. მაგრამ კონგრესმა წარმომადგენლებს მხოლოდ იმის ნება დართო, რომ შეემუშავებინათ გეგმა „კონფედერაციის მუხლების“ გასაუმჯობესებლად. შეხვედრის შედეგად მომზადებული გეგმა კონგრესს გადაეგზავნებოდა, საკუთარი შეხედულებისამებრ მის გამოსაყენებლად. კონგრესთან მიმართებაში ფილადელფიის შეკრების მონაწილეებს სათათბირო ხმის შეკრების უფლებაღა რჩებოდათ.

ვინ ესწრებოდა ფილადელფიის კონვენტს?

შეხვედრას, რომელსაც შემდგომ ფილადელფიის კონვენტი ეწოდა, 55 დელეგატი ესწრებოდა. ეს იყო იმ გამორჩეულ ადამიანთა ჯგუფი, რომლებსაც დღეს ჩვენ კონსტიტუციის „შემქმნელებს“ ვუწოდებთ. მათი უმრავლესობა საკმაოდ ახალგაზრდა იყო. საშუალო ასაკს 42 წელი შეადგენდა, ხოლო ყველაზე უმცროსისა კი – 27 წელი. დელეგატთა დაახლოებით 3/4 კონგრესში მსახურობდა. უმრავლესობას თვალსაჩინო პოლიტიკური მდგომარეობა ეჭირა თავ-თავიანთ შტატებში; ბევრი წამყვან როლს ასრულებდა რევოლუციის დროს. უმრავლესობისაგან განსხვავებით, ზოგიერთი მდიდარიც იყო. ამერიკაში იმ დროს მყოფმა ფრანგმა დიპლომატთა „შემქმნელებზე“ განაცხადა, რომ „ისინი სიმდიდრის გარეშეც იოლ მდგომარეობაში იმყოფებიანო...“

ამერიკაში დროებით დაბინავებულმა მეორე ფრანგმა დიპლომატმა შენიშნა: „ვერსად, თვით ევროპაშიც კი, თქვენ ვერ ნახავთ ნიჭით, ცოდნით, მიუკერძოებლობითა და პატრიოტიზმით აღსავსე ისეთ ღირსეულ ადამიანთა საკრებულოს, როგორიც არის ფილადელფიის კონვენტის ყველა დელეგატი, ერთად თავმოყრილი“. თომას ჯეფერსონი პარიზიდან წერდა ლონდონში მყოფ ჯონ ადამსს, რომ კონვენტი „ჭეშმარიტად ნახევრადღმერთების შეკრება არისო“.

ამის მიუხედავად, უნდა გვახსოვდეს, რომ ზოგიერთი „შემქმნელი“ საკმაოდ მოკრძალებული შესაძლებლობების ადამიანი იყო და საეჭვო მოტივებით ხელმძღვანელობდა. ალბათ, ფილადელფიაში შეკრებილთა შესახებ ყველაზე ზომიერი შეხედულება ისტორიკოსმა მაქს ფარანდმა გამოთქვა, რომელიც წერდა „დიახ, იყვნენ იქ ბუმბერაზი ადამიანები. მაგრამ კონვენტი მთლიანობაში შედგებოდა ისეთი მონაწილეებისაგან, როგორებიც დღესაც შეიძლება შეიკრიბონ მსგავს შეხვედრებზე: ამა თუ იმ პროფესიის წარმომადგენლები, ბიზნესმენები, გართობის მოყვარულნი; პატრიოტი სახელმწიფო მოღვაწენი და ჭკვიანი, გამჭრიახი პოლიტიკოსები; ზოგიერთი გამოცდილებითა თუ მის წინაშე მდგარი ამოცანის გადაჭრაში ნაწრთობი; ზოგი კი სრულიად გამოუსადეგარი. არსებითად ეს იყო წარმომადგენლობითი ორგანო“.

ზოგიერთი „შემქმნელის“ ცხოვრება ღირს ამად, რომ დაწვრილებით აღწერო. მაგრამ ამჯერად ჩვენ შემოვიფარგლებით მხოლოდ რამდენიმე მათგანის, ყველაზე უფრო გამოჩენილთა გაცნობით. ჩვენ იმ ლიდერებსაც მოვიხსენიებთ, ვინც არ ესწრებოდა კონვენტს, მაგრამ მონაწილეობა მიიღო არსებული კონსტიტუციური მმართველობის დაფუძნებაში.

ჯორჯ ვაშინგტონი

ჯორჯ ვაშინგტონი ქვეყნის, ალბათ, ყველაზე უფრო პატივცემული და დაფასებული ადამიანი იყო. რევოლუციის დროს მან მიატოვა თავისი ფერმა მაუნტ ვერნოში, ვირჯინიის შტატი და სათავეში ჩაუდგა ამერიკელთა ძლევამოსილ არმიას ბრიტანელებთან ომში. ომის დამთავრების შემდეგ, როდესაც აღარ იყო დიდი არმიის საჭიროება, ვაშინგტონი კერძო ცხოვრებას დაუბრუნდა თავის პლანტაციებში. ის იმ მოქალაქეთაგანი იყო, რომელსაც იმთავითვე სჯეროდა ძლიერი ეროვნული ხელისუფლების აუცილებლობა, მაგრამ ვაშინგტონი მხოლოდ კერძო საუბარში, ისიც გარკვეულ პიროვნებებთან გამოხატავდა თავის აზრს, რადგან არ სურდა პოლიტიკაში ჩარევა.

თავდაპირველად ვაშინგტონმა უარი განაცხადა კონვენტის შეკრებაში მონაწილეობაზე. მოგვიანებით კი დათანხმდა ვირჯინიის შტატის წარმომადგენლობას. ეს თანხმობა განპირობებული იყო ვაშინგტონის შიშით, რომ უარის შემთხვევაში ხალხს შეეძლო ეფიქრა, რომ მან დაჰკარგა რწმენა რესპუბლიკური მმართველობის მიმართ. ვაშინგტონი არ აქტიურობდა დებატების მსვლელობისას, მაგრამ კონვენტზე მის დასწრებას და კონსტიტუციის მხარდაჭერას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა შტატების მიერ მიღებული დოკუმენტის რატიფიკაციისათვის. როდესაც დადგა პირველი პრეზიდენტის შერჩევის ჯერი, აღმოჩნდა, რომ არცერთ სხვა ამერიკელს არ შეეძლო ერის გაერთიანება ისე, როგორც ჯორჯ ვაშინგტონს, ადამიანს, რომელმაც კვლავ გვერდზე გადადო პირადი ინტერესები და საკუთარი თავი ერის საყოველთაო კეთილდღეობას მიუძღვნა.

ჯეიმს მედისონი

„შემქმნელთა“ შორის ჯეიმს მედისონმა უთუოდ ყველაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა იმ ეროვნული ხელისუფლების ჩამოყალიბებაზე, რომელიც კონვენტმა შეიმუშავა. 1751 წელს დაიბადა და გახდა ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა რევოლუციური ლიდერი. 1780 წლიდან მედისონი აქტიურად ჩაერთო ვირჯინიის პოლიტიკურ ცხოვრებაში, როგორც ძლიერი ეროვნული ხელისუფლების ერთ-ერთი გავლენიანი მომხრე. ასევე დიდი გავლენა ჰქონდა მას კონვენტის მუშაობაზე, ვინაიდან კონვენტს მედისონმა წარუდგინა გეგმა – ე. წ. ვირჯინიის გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა გაუმჯობესებული ეროვნული ხელისუფლების შექმნას. ალტერნატიული ვარიანტების წინასწარი განხილვის შემდეგ, მედისონისეული გეგმა საფუძვლად დაედო ხელისუფლების მოწყობის საკითხებზე მსჯელობას.

მედისონი რომ არა ჩვენ ცოტა რამ გვეცოდინებოდა კონვენტზე მომხდარი ამბების შესახებ. „შემქმნელებმა“ გადაწყვიტეს დისკუსიების საიდუმლოდ ჩატარება, მაგრამ, ამავე დროს, მედისონს, მიანდეს კონვენტის მსვლელობის ჩაწერა. რაც დღეს ჩვენ ვიცით კონვენტის მსვლელობის შესახებ, ამ ჩანაწერების წყალობაა.

მედისონს ჰქონდა ღრმა რწმენა ახალი ხელისუფლების მოწყობის უპირატესობისა, რამაც განაპირობა ის რომ კონვენტის შემდეგ, სხვა ორ ავტორთან ერთად, მას სტატიების დაწერა სთხოვეს ახალი კონსტიტუციის დასაცავად. სტატიებს ეს სერია ნიუ-იორკში გამომავალი გაზეთებისთვის იქმნებოდა. დღეს მას „ფედერალისტს“ უწოდებენ. ამ სტატიების საშულებით ნიუ-იორკის მოქალაქენი რწმუნდებოდნენ, რომ საჭირო იყო ხმა მიეცათ შტატის იმ დელეგატებისათვის, რომლებიც მხარს დაუჭერდნენ კონსტიტუციის რატიფიკაციას. ეს არის ამერიკელების მიერ შექმნილი უმნიშვნელოვანესი თხზულება, ჩვენი კონსტიტუციური მმართველობის ძირითად პრინციპებსა და იდეებს რომ ეძღვნება. მოგვიანებით მედისონი შეერთებული შტატების მეოთხე პრეზიდენტი გახდა.

სხვა გამორჩეული დელეგატები

ვაშინგტონისა და მედისონის გარდა, დელეგატებს შორის სხვა თვალსაჩინო ადამიანებიც იყვნენ. 81 წლის ბენჯამინ ფრანკლინს ჯანმრთელობა შერყეული ჰქონდა, მაგრამ იმის გამო, რომ ის ძალზე პატივმოსილი პიროვნება იყო, მისმა მონაწილეობამ დიდი წვლილი შეიტანა გადამწყვეტ მომენტებში კონვენტის წარმატებულ მუშაობაში. ძლიერი ეროვნული ხელისუფლების თავდადებული მომხრე იყო ალექზენდერ ჰამილტონი. მან სასოწარკვეთილმა მიატოვა კონვენტი, როდესაც სამუშაოს ნახევარი უკვე განვლილი იყო და რამდენიმე დღით დაუბრუნდა მას სექტემბერში დასრულებულ დოკუმენტზე ხელმოსაწერად, მაგრამ ჰამილტონი „ფედერალისტის“ ერთ-ერთი ავტორი იყო და უდიდესი როლი ითამაშა კონსტიტუციის რატიფიკაციისათვის ბრძოლაში. ჯორჯ მეისონი, ვირჯინიის

უფლებათა ბილის ავტორი, ხალხისა და შტატების უფლებების უდიდესი ქომაგი იყო. მას სწამდა, რომ კონსტიტუციით დაფუძნებული ეროვნული ხელისუფლება საფრთხეს უქმნიდა ამ უფლებებს. მეისონი იმ სამ დელეგატთა შორის იყო, რომლებმაც კონვენტის დასასრულს უარი განაცხადეს კონსტიტუციის ხელმოწერაზე.

გამოჩენილი „დამფუძნებლები", რომლებიც კონვენტს არ დასწრებიან

კონვენტს არ ესწრებოდა აგრეთვე რამდენიმე წარჩინებული პოლიტიკური ლიდერი. თომას ჯეფერსონმა მოამზადა დამოუკიდებლობის დეკლარაციის პროექტი, გუბერნატორად მსახურობდა ვირჯინიაში და „კონფედერაციის მუხლების" ძალით კონგრესის წევრიც იყო. კონვენტის დროს ის იყო შეერთებული შტატების ელჩი საფრანგეთში და ამიტომ არ შეეძლო მასზე დასწრება.

თომას ფაინი, „საერთო აზრისა" და „ადამიანის უფლებათა" ავტორი, ჯეფერსონთან ერთად იყო საფრანგეთში.

ჯონ ადამსი, ამერიკის უწარჩინებულესი პოლიტიკური მოაზროვნე და შეერთებული შტატების მეორე პრეზიდენტი, დიპლომატიური მისიით იმყოფებოდა ინგლისში.

პეტრიკ ჰენრიმ, რევოლუციური ხანის ლიდერმა, უარი განაცხადა კონვენტში მონაწილეობაზე, რადგან ძლიერი ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ იყო. ის ეჭვით უყურებდა იმას, თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო კონვენტზე და განაცხადი, რომ მოსახდენს „ვირთხის სუნი ასდისო". ჰენრი კონსტიტუციის მიღების საწინააღმდეგო კომპანიის ერთ-ერთი ლიდერი იყო.

კონვენტი იწყება

1781 წლის 25 მაისისათვის უმრავლეს შტატთა დელეგატებმა თავი მოიყარეს ფილადელფიაში. კონვენტის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ჯორჯ ვაშინგტონი.

ლამის დაწყებისთანავე „შემქმნელები" ორ საკითხზე შეთანხმდნენ.

1. მათ გადაწყვიტეს კონგრესის მითითებათა იგნორირება, რომელთა მიხედვით კონვენტს უნდა შეეზღუდა თავისი მუშაობა მხოლოდ „კონფედერაციის მუხლების" გაუმჯობესებით. ამის სანაცვლოდ კონვენტი შეუდგა ახალი კონსტიტუციის შექმნას. დელეგატები დარწმუნებული იყვნენ, რომ „მუხლებს" სერიოზული ნაკლოვანებები გააჩნდა და შემდგომი მსჯელობისათვის მათი საფუძვლად გამოყენება მიზანშეუწონელი იყო.

2. მათ გადაწყვიტეს 30 წლის განმავლობაში საიდუმლოდ შემოენახათ კონვენტზე გამართული დებატების ოქმი. ამ გადაწყვეტილებას ორი მიზეზი ჰქონდა.

- დელეგატებს სურდათ, რამდენადაც შეეძლოთ საუკეთესო კონსტიტუცია შეექმნათ. ეს კი აზრთა თავისუფალ ურთიერთგაზიარებას მოითხოვდა. „შემქმნელები“ შიშობდნენ, რომ თუ დებატები საჯაროდ გაიმართებოდა, მრავალი დელეგატი თავისუფლად ვერ გამოხატავდა საკუთარ აზრს.
- „შემქმნელთა“ აზრით, კონვენტზე შემუშავებულ კონსტიტუციას უფრო ადვილად მიიღებდნენ, თუ ხალხს არ ეცოდინებოდა იქ გამართული მსჯელობის შინაარსი.

„შემქმნელები“ შეთანხმდნენ აგრეთვე, რომ ყოველი შტატისათვის კონვენტზე თითო ხმა ებოძებინათ, მოსახლეობის ოდენობის მიუხედავად.

„შემქმნელები“ ძლიერი ეროვნული ხელისუფლების იდეის ერთგული იყვნენ. კონვენტის დროს მიღებული იქნა მრავალი შეთანხმება მთელ რიგ ფუნდამენტურ პრინციპებსა და ძირითად საკითხებზე. ყოველივე ამის შედეგად, ოთხ თვეში შესაძლებელი გახდა ისეთი კონსტიტუციის შექმნა, რომელიც აგერ უკვე ორასი წელია მოქმედებს. ამ ღირსშესანიშნავ მიღწევას საფუძველი ჩაეყარა პირველსავე სესიაზე, რომელსაც 13 შტატიდან მხოლოდ 7-ის წარმომადგენელი ესწრებოდა. კონვენტის დასასრულისათვის წარმოდგენილი იყო ყველა შტატი, როუდ აილენდის გამოკლებით.

მომდევნო გაკვეთილები თქვენ დაგეხმარებათ ფილადელფიაში მიღებული კონსტიტუციის გაგებასა და მის ძირითად თავისებურებათა მიზეზების ახსნაში.

ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲗᲕᲘᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ

1. რა იყო ფილადელფიის 1787 წლის შეკრების თავდაპირველი დანიშნულება? რატომ განიცადა მან ცვლილება?
2. აღწერეთ ფილადელფიის კონვენტის წევრები, როგორც ერთიანი ჯგუფი;
3. სწორი იყვნენ თუ არა ფილადელფიის კონვენტის წევრები, როდესაც მათ უარყვეს კონგრესის მითითებანი? რატომ?
4. რატომ გადაწყვიტეს „შემქმნელებმა“ კონვენტზე გამართული დებატების ესოდენ დიდი დროით გასაიდუმლოება?
5. უნდა ყოფილიყო თუ არა ფილადელფიის კონვენტის დებატები საჯარო? რატომ?

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘᲓᲐᲜ ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲔᲡ:
ᲛᲘᲜᲓᲘᲐ ᲣᲒᲠᲔᲮᲔᲚᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘᲐ

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)